სსიპ-გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსს
ბატონ ვასილ გედევანიშვილს

ბატონო ვასილ,

გაცნობებთ, რომ შპს „vivacement"-ის საწარმო განთავსებულია ქ. რუსთავში, წერეთლის ქუჩა №41ა-ში. საწარმოს საქმიანობაზე, 2010 წელს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ შპს „რუსთავი V.G."-ს ცემენტის წარმოებაზე გაიცა №38 (18.06.2010) ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა და გარემოზე ზემოქმედების ნებართვა. 2014 წელს კომპანიების ერთობლივი მიმართვის საფუძველზე შპს „რუსთავი V. G"-ზე გაცემული ნებართვა გადაეცა შპს „vivacement"-ს. ხოლო 2020 წლის 31 დეკემბერს, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 48-ე მუხლისა და აღნიშნული დოკუმენტების გათვალისწინებით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის №2-1268 ბრძანებით გაცემული იქნა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცებისა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შემდეგ, საწარმოში წარმოებული ცემენტის შენახვის მიზნით განთავსდა დამატებითი სილოსები, გარდა ამისა, საწარმოში განთავსებულ წისქვილზე განახლდა აირ-მტვერდამჭერი ფილტრები და კანონის მოთხოვნის შესაბამისად მოეწყო უწყვეტი მონიტორინგის სისტემა, საწარმოში ასევე განთავსდა სარეზერვო წისქვილი, რომელიც საწარმოში არსებული წისქვილის ანალოგიურია. სარეზერვო წისქვილი იმუშავებს ძირითადი წისქვილის მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში.

საწარმოში განხორციელებული ცვლილებები საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-5 მუხლის 12 ნაწილის შესაბამისად ექვემდებარება ამ კოდექსით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობას

აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოგიდგენთ სკრინინგის განცხადებას შესაბამის დოკუმენტებთან ერთად და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

დანართი:

1. ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკრინინგის ანგარიში -ელ ვერსია
2. საწარმოს ტერიტორიის GIS კოორდინატებს Shp ფაილების სახით - ელ. ვერსია

პატივისცემით,

ბაჩანა გაგნიძე

შპს „vivacement"-ის დირექტორი

14.09.2023

ს.ს.ი.პ. გარემოს ეროვნული სააგენტო
„14" 09 2023 წ.
№ 9019